პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 139 (5948)

1977 წ. 17 ივლისი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ВТОРЫЕ ВСЕСОЮЗНЫЕ СПОРТИВНЫЕ ИГРЫ МОЛОДЕЖИ · 1977 ·

II საკავშირო ახალგაზრდული თამაშები

•

ხელბურთი

საქართველოს ჭაბუკი ხელბურთელები მესამე ქვეჯგუფში თამაშობენ. მათ ჯერ სომხეთის ნაკრებს სძლიეს ანგარიშით 26:22, შემდეგ კი დაამარცხეს უზბეკეთის გუნდი — 27:21. გუშინ, 16 ივლისს საქართველოს გუნდმა ქვეჯგუფში ბოლო მატჩი ჩაატარა ესტონელ ხელბურთელებთან. ქვეჯგუფში გამარჯვებისთვის ჩვენს სპორსტმენებს ფრეც ჰყოფნიდათ. მატჩი გვიან ღამით დამთავრდა...

საქართველოს გოგონათა ნაკრები მეორე ქვეჯგუფში ასპარეზობს. პირველ დღეს იგი დამარცხდა აზერბაიჯანის ძლიერ კოლექტივთან — 13:17. სამაგიეროდ, გაიმარჯვა ყაზახეთის ნაკრებთან მძიმე ბრძოლაში — 22:21. ამგვარად, საქართველოს გოგონებსაც აქვთ ფინალში გასვლის შესაძლებლობა. ქვეჯგუფში მათი ბოლო მეტოქეა ყირგიზეთის ნაკრები. ეს უკანასკნელი დამარცხდა ყაზახეთის გუნდთან — 15:21.

•

ერთხმად აღიარეს

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი სოსო როსტიაშვილი თავის წონისთვის (48 კგ) ძალიან ტანმაღალია.

— წონაში იკლებ? ვკითხეთ.

— ოდნავ, შეჯიბრების წინ.

ხალიჩაზე რატომღაც, ჯერ მისი მეტოქე იქცევს ყურადღებას, ხოლო შემდეგ — როსტიაშვილი, მაგრამ იწყება ჭიდაობა და მაშინვე ცხადი ხდება: სოსო ლიდერია. იმიტომ კი არა, რომ წინ აქტიურად მიდის. პირიქით სოსო როგორღაც რბილად იბრძვის, თითქოს ბოდიშს იხდისო. და უცბად სწრაფი შეტევა... მეტოქე ბეჭებზეა. ანდა თვალშეუვლები მოძრაობით მეტოქეს ზურგსუკან აგდებს. ყველაფერი ეს ძალზე სწრაფად კეთდება.

ტრიბუნაზე ზის და მორიდებულად იყურება. დინჯად, მოფიქრებით გვპასუხობს კითხვებზე.

— დუშეთიდან ვარ.

— რატომ აირჩიე ჭიდაობა?

— მამა ჭიდაობდა. ყველა მისი ამხანაგიც მოჭიდავეა, შინ ხშირად ლაპარაკობდნენ ჭიდაობაზე, ჰოდა, მეც ვთხოვე სოლომონ ფეიქრიშვილს, სექციაში მივედი. თავიდან ქართული ჭიდაობა მიტაცებდა, მერე — სამბო.

— ჭიდაობის გარდა კიდევ რა გაინტერესებს?

— როცა შინ ვარ, მიყვარს ნადირობა, კითხვა, განსაკუთრებით — პოეზია. საყვარელი პოეტია აკაკი წერეთელი.

სოსოს შესახებ მრავალ სპეციალისტს ვესაუბრეთ მინსკში. მან ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მისი ჭიდაობა ორიგინალურია და ყველა ერთხმად აღიარებს, რომ სოსოს დიდი მომავალი აქვს.

(ჩვენი სპეც. კორ.).

მინსკი.

•

ისე, როგორც კაპლუნოვი...

მინსკის არმიელთა სპორტული კლუბის სპორტული კომპლექსის დარბაზში 67,5 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობა სალამოს პროგრამაში შედიოდა. სააპელაციო მაგიდასთან იჯდა ამ წონაში წარსულში მსოფლიოში საკმაოდ ცნობილი ათლეტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. კაპლუნოვი. იგი გულდასმით აკვირდებოდა ახალგაზრდების ყოველ მოძრაობას. გასაგებია, რომ გამოცდილ ოსტატს აინტერესებდა მის შემცვლელ სპორტსმენთა ბედი.

ვიდრე „ოქროს მაძიებლები" ატაცში ცდიდნენ ძალას, კაპლუნოვი, დროდადრო შუბლშეკრული თავს სინანულით აქნევდა, მაგრამ, როცა მონაწილენი აკვრაზე გადავიდნენ და ბრძოლა დაიძაბა, ვლადიმერიც გამოცოცხლდა, — შეიქმნა მისთვის კარგად ცნობილი სიტუაცია აკვრაში. მსოფლიო რეკორდსმენს კარგად მოეხსენება, რომ სწორედ ამ მოძრაობამ უნდა გაარკვიოს ვინ არის ჩემპიონობის ღირსი. მან ხომ სწორედ ამ ვარჯიშის ბრწყინვალედ შესრულებით მრავალგზის იზეიმა გამარჯვება.

ახლაც ასე მოხდა: ამ წონაში საქართველოს ორი ნიჭიერი ათლეტი გამოჰყავდა—ქუთაისელი ნ. პაპიძე და ცხინვალელი ბ. ჭიოტაშვილი. რსფსრ-ის გუნდის წევრს ა. ცვეტკოვს ატაცში (120 კგ) ორივე ჩამორჩა (თანაგუნდელებმა 117,5-117,5-კილოგრამიანი შტანგა დაძლიეს). მაგრამ, როცა ჯერი აკვრაზე მიდგა, სამხრეთელებმა ყველას აჯობეს. პაპიძეს ჩემპიონობისთვის მეორე ცდაზე ნაჩვენები შედეგიც ეყო. მან საბოლოოდ 160 კგ აკრა, ორჭიდში კი 277,5 კგ. მოაგროვა. ჭიოტაშვილმა თანამემამულესთან 2,5 კგ-ით წააგო. ცვეტკოვი 272,5 კგ-ით მესამე ადგილს დაჯერდა.

პაპიძე სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრების წევრია და მისგან მომავალში ბევრს მოველით.

რეკორდები

მინსკში ახალგაზრდობის მეორე საკავშირო თამაშებში ძალოსანთა ასპარეზობაში უკონკურსოდ გამოდიოდა მოსკოვის ოლქის ზაგორსკის სპორტსმენი, 23 წლის ა. აივაზიანი (მსუბუქი წონა). მან ატაცში 141,5 კილოგრამი აწია, რაც კუბელ რ. ურუტიას მსოფლიო რეკორდზე ნახევარი კილოგრამით მეტია.

II რესპუბლიკური

•

საბოლოო შედეგები

ქუთაისში გამართულ ლელობურთელთა ტურნირით დამთავრდა საქართველოს მეორე ახალგაზრდული თამაშები. ლელობურთში ჩემპიონი გახდა ჩოხატაურის ნაკრები. მომდევნო ადგილებზე არიან ქუთაისისა და ფოთის კოლექტივები.

როგორც ცნობილია, თამაშების პროგრამაში 29 სახეობა იყო. მათ შორის ორი ეროვნული — ქართული ჭიდაობა და ლელო. თამაშებში სულ 3100-მდე სპორტსმენი ასპარეზობდა.

რესპუბლიკურ თამაშებში პირველი ჯგუფის კოლექტივებს შორის ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა:

თბილისი	5840 ქულა
ქუთაისი	3205
აფხაზეთი	2960,5
აჭარა	2779,5
რუსთავი	1942,9
სამხრეთ ოსეთი	1021,5
ფოთი	853
გორი	809,6
ზუგდიდი	527
ტყიბული	355,5
ჭიათურა	129

აღსანიშნავია, რომ ჭიათურის სპორტკომიტეტი გულგრილად მოეკიდა ახალგაზრდულ თამაშებს, რის გამო გუნდების გამოყვანა მან მხოლოდ სამ სახეობაში შეძლო. ტყიბულის სპორტკომიტეტმა ცხრა სახეობაში სცადა ძალა, ზუგდიდისა და ფოთის სპორტსმენებმა — 12-12 სახეობაში, გორელები 13 სახეობაში ასპარეზობდნენ, სამხრეთ ოსეთის დელეგაცია — 15, ხოლო რუსთავისა — 19 სახეობაში.

სპორტის მოყვარულებს მოვაგონებთ, რომ რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშების შედეგები საქართველოს VII საზაფხულო სპარტაკიადის ჩათვლაში შედის.

დ. კაპცოვი,
საქართველოს სპორტკომიტეტის ახალგაზრდული თამაშების შტაბის უფროსი,

გ. აგრანატი,
საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ-მეთოდური სამმართველოს უფროსი ინსპექტორი.

ჭიდაობა

ლას-ვეგასში (ნევადის შტატი) დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში იუნიორთა შორის. საბჭოთა ნაკრებმა I ადგილი დაიკავა (55 ქულა). II ადგილზე გავიდნენ ბულგარელები (46), მესამეზე — პოლონელები (31 ქულა).

ჩოგბურთი

თბილისშიც ნავარაუდევია

დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირისა და აშშ-ის ჩოგბურთელთა გუნდების შარშანდელმა შეხვედრებმა. ამგვარი მატჩები წლეულსაც მოეწყობა შემოდგომაზე — 14-28 სექტემბერს. ნავარაუდევია, რომ ამ გუნდების შეხვედრის მოწმენი მოსკოველთა გარდა ლენინგრადელები, დონეცკელები და თბილისელებიც იქნებიან. თავდაპირველად მატჩები გაიმართება აშშ-ის ოთხ ქალაქში. ამერიკელთა ნაკრების ხელმძღვანელმა, „უორლდ ტიმ ტენისის" კომპანიის პრეზიდენტმა ლარი კინგმა განაცხადა, რომ გუნდის ღირსებას დაიცავენ მისი მეუღლე, უიმბლდონის ტურნირის ხუთგზის ჩემპიონი ბილი-ჯინ კინგი, როზმარი კაზალსი, მარტი რისენი და ვიტას გერულაიტისი.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში არიან ოლგა მოროზოვა, ნატალია ჩმირიოვა, ალექსანდრე მეტრეველი და თეიმურაზ კაკულია.

ფარიკაობა

ბუენოს-აირესი. მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატში რაპირისტ ვაჟთა შორის გაიმარჯვა მოსკოველმა ა. რომანკოვმა. მეორე საბჭოთა მოფარიკავემ კიეველმა ვ. სმირნოვმა V ადგილი დაიკავა.



ახალგაზრდებს შორის დიდად პოპულარულია საქართველოს დოსააფ-ის თბილისის აეროკლუბი. ამ კლუბში მეცადინეობენ ძლიერი, მარჯვე, გულადი ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებსაც უსაზღვროდ უყვართ ცა.

• • •

სურათებზე: თვითმფრინავში ჩასხდომა; „გულშემატკივრები"; პარაშუტის გაშლამდე; რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრმა, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის თანამშრომელმა ლ. მუშკოვამ მეშვიდასე ნახტომი შეასრულა.

ვ. მორგუნოვის ფოტოები. (საქინფორმი).

ვიხილავთ კონსტიტუციის პროექტს

მოვალეობა — ბეჯითი შრომა

კონსტიტუცია და მწვრთნელი! რა კავშირია ამ ორ ცნებას შორის? — უშუალო და დიდი. საქმე ის არის, რომ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში უმთავრესი ადგილი უჭირავს მშრომელი ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვას. პროექტში ნათლად და ამომწურავად არის გადმოცემული საბჭოთა ადამიანის უფლება-მოვალეობანი. მწვრთნელიც ხომ ახალგაზრდა თაობის ჯანმრთელობის, სპორტული ოსტატობის სადარაჯოზე მდგარი მშრომელია. განა კონსტიტუციის პროექტი არ ითვალისწინებს მასობრივი სპორტისა და ფიზიკური კულტურის შემდგომ განვითარებას? თვით ის ფაქტი, რომ საბჭოთა ადამიანს აქვს დასვენების უფლება, პარტიისა და მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. კონსტიტუციით საბჭოთა ადამიანის წინ იშლება ფართო შესაძლებლობები, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეტად საპატიო ვალდებულებები გვაკისრია. ჩვენი ვალია, ვიმუშაოთ სანიმუშოდ: დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ, ხვალ უფრო კარგად, ვიდრე დღეს. სწორედ ამ მიზნითა და დიდი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს თავის საქმეს მწვრთნელი, რის შედეგად, ბუნებრივია, აღსაზრდელებიც უფრო მომზადებული და დაოსტატებული იქნებიან.

ახლახან მინსკიდან დავბრუნდი, სადაც უფროს მწვრთნელად ვახლდი საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებს, მოგეხსენებათ, გუნდი სტაბილურად გამოვიდა, II საპრიზო ადგილზეც გავიდა. გარდა ამისა, პირად ასპარეზობაში ჩვენმა ათლეტებმა ერთი ოქროს, ორი ვერცხლის და ორიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ეს უთუოდ დიდი წარმატებაა. მაგრამ ამავე დროს იგი ბევრს გვავალებს, მითუმეტეს საჭიროა აღნიშნულ შეჯიბრებაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. ყოველივე ეს გასათვალისწინებელია განსაკუთრებით იმ მწვრთნელებისთვის, რომელთა აღსაზრდელებმა მინსკში მაინცდამაინც თავი ვერ ისახელეს. საერთოდ, ჩვენ, მწვრთნელებს კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ოსტატობის ამაღლებისათვის, რათა იგი თანამედროვე მოთხოვნების დონეს უპასუხებდეს. ეს საბჭოთა კონსტიტუციის მიერ დაკისრებული საპატიო მოვალეობა, საპატიო ვალი — ქვეყნის წინაშე.

ზ. ოსიყმაშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

ვფიქრობ, აჯობებდა...

განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციის პროექტი უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური დოკუმენტია, მომწონს კონსტიტუციის ღრმაშინაარსიანი სტრიქონები, რომლებიც სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ სრულყოფას, საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობას გულისხმობს. კონსტიტუციის პროექტში სათანადო ადგილი ეთმობა მოზარდი თაობის აღზრდას.

მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება 25-ე მუხლის შესახებ, რომელშიც ნათქვამია: „სსრ კავშირში მოქმედებს განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას, სულიერ და ფიზიკურ განვითარებას, შრომისა და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის მომზადებას. განათლება სსრ კავშირში უფასოა“.

ვფიქრობ 25-ე მუხლი უფრო მოიგებდა თუ იქ, სადაც სულიერ და ფიზიკურ განვითარებაზეა ლაპარაკი, ჩავუმატებდით სიტყვა „გონებრივს“, მაშინ ეს მუხლი ასე ჩამოყალიბდება: **„სსრ კავშირში მოქმედებს განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას, სულიერ, გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას“**... და შემდეგ როგორც ტექსტშია.

ა. შანტურია,
გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ავტორალის ძნელ ტრასაზე

საქართველოს I ღია პირად-გუნდურ ჩემპიონატში, რომელიც საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურმა საბჭომ მოაწყო, 24 ეკიპაჟი მონაწილეობდა.

შეჯიბრება სპორტის სასახლესთან ავტომობილების ფიგურული ტარებით დაიწყო. შემდეგ სპორტსმენები 300-კილომეტრიან ტრასაზე გავიდნენ. გზადაგზა ისინი დამატებით, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ავტომობილის ფიგურულ ტარებაში.

რალის პირად ჩათვლაში I ადგილი დაიკავა ზ. გუნიასა და გ. სირაძის (ბათუმი) ეკიპაჟმა. II ადგილზე გავიდნენ ტ. სუპატაშვილი და ნ. ქურაკოვსკი (თბილისი), III ადგილი ლ. გევენოვსა და ვ. ქუფარაძეს ხვდათ.

გუნდურ შეჯიბრებაში უძლიერესნი აღმოჩნდნენ თბილისელი სპორტსმენები. II და III ადგილებზე ქუთაისელი და ბათუმელი ავტომოყვარულები არიან.

ზ. კუტიბაშვილი.

[illegible]

✦ ბათუმი

გაიმართა „სპარტაკის“ აჭარის საოლქო საბჭოს პირველობა ფრენბურთში ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის.

ვაჟთა შორის ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის წარმომადგენლებმა (მეთოდისტი თ. ჩიტაძე) იმარჯვეს. II ადგილზე გონიოს ჩაის ფაბრიკის გუნდი გავიდა, მესამე იყო ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა ნაკრები.

ქალთა გუნდებს შორის ისევ ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის სპორტსმენებმა იმარჯვეს. შემდეგ მოდიან აჭარის კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური სამმართველოსა და სახელმწიფო დაწესებულებათა გუნდები.

ო. მურვანიძე,
(ჩვენი კორ.).

• • •

✦ თეთრი წყარო

აქ მოეწყო „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თასის გათამაშება ფეხბურთში „ოქროს თავთავის“ თასზე, რომელშიც მონაწილეობდნენ თეთრი წყაროს, მანგლისის, ორბეთის, ირაგის, გარისისა და ასურეთის საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე, კოდის მეფრინველეთა გუნდები. ფინალში ასურეთელებმა სძლიეს კოდელ ფეხბურთელებს და მოიპოვეს თასი.

ა. ბედოიძე.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ

თქვენი ეზო

● რამდენი ნაბიჯია გადასადგმელი ჯანმრთელობისკენ მიმავალ გზაზე?

● კიდევ ერთხელ ფიზიკური უკულტურობის შესახებ

XX საუკუნის ტექნიკურმა პროგრესმა ბევრი სიკეთე მოუტანა ადამიანებს, იმდენი, რომ მისი ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. ამავე დროს, ამ სასიკეთო მედალს მეორე, ბნელი მხარეც ჰქონია თურმე. ამ მეორე მხარეს ეწოდება მასობრივი „ჰიპოდინამია“, მოძრაობის შიმშილი, ე. ი. ტექნიკური ფუფუნებისგან გამოწვეული უმოძრაობა.

აბა წარმოვიდგინოთ ზოგიერთი „დატვირთული“ ადამიანის ერთი დღე. გაიღვიძა თუ არა, საუზმის წინ ყველაფერი 4-5 კვადრატული მეტრის მოედანზე მოითავა, სასაუზმოდაც შორს არ წასულა, შემდეგ ლიფტით ეზოში ჩავიდა, იქვე ავტომობილში ჩაჯდა, იქიდან — კვლავ ლიფტში და სამსახურეობრივ სავარძელში მოკალათდა...

ეს ყველაფერი მოხდა თითქმის ხელფეხგაუნძრევლად. თუ თვალს გავაყოლებთ ასეთი ადამიანების ფიზიკურ დატვირთვას დღის განმავლობაში (საღამოს ტელევიზორთან ჯდომის ჩათვლით), აღმოჩნდება, რომ მათს სისხლძარღვთა სისტემას 24 საათის განმავლობაში არავითარი ტონუსი არ მისცემია. ასე იყო გუშინ, გუშინწინ...

და მერე რა დღეშია მათი ჯანმრთელობა? როგორ გამოიყურებიან ისინი გარეგნულად? ღიპი წამოზრდიათ, გულის ტკივილს უჩივიან, ღვიძლიც ხშირად შეახსენებს ხოლმე თავს... და თუ ასეა, იცოდეთ, ყველა სატკივარის თავიდათავი უმოძრაობა, სხვანაირად რომ ვთქვათ, მათი ფიზიკური უკულტურობაა, რომელსაც მხოლოდ საკუთარი თავის მიმართ კი არა, თუ დაუკვირდებით, ხშირად გარშემო მყოფთადმიც იჩენენ ხოლმე ზოგიერთები.

აბა რით უნდა ავხსნათ ისეთი ადამიანების მოქმედება, რომლებიც დაბრკოლებას უქმნიან საზოგადოებრივ (საერთო) ეზოში მცხოვრებთ. პირველ რიგში ბავშვების დასვენებასა და ფიზიკურ ვარჯიშს. როგორ უნდა ავხსნათ იმ „ძიების“ მოქმედება, რომლებიც ბავშვებისთვის განკუთვნილ სპორტულ მოედანზე საკუთარ ავტომანქანებს აგორავებენ? ან იმისა, ვინც სახელმწიფო მანქანებისათვის საჭირითო ადგილად აქცევს ეზოს, აქაოდა ეზოს ფეხით გავლა და ქუჩაში ავტომანქანაში ჩაჯდომა რა საკადრისიაო?

ავიღოთ ეს ბოლო მაგალითი. ერთი შეხედვით თითქოს არაფერია გასაკვირი, რომ თანამდებობის პირს, რომელსაც სახელმწიფო მანქანა ემსახურება, დილაობით ეზოში ელოდება ავტომობილი.

რა მოხდა, იტყვიან ალბათ ზოგიერთები, თუ მანქანა ეზოში შემოვიდა, იქ დაუცადა „ხაზეინს?“ მოხდა!

მოხდა სულ ცოტა ორი ცუდი რამ. ერთი ის, სისხამ დილით ეზოში ხმაურით შემოვიდა მანქანა, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ბენზინს წვავს და შესაბამისად ჰაერსაც აჭუჭყიანებს. მეორე, ის ოციოდე მეტრი, რომელიც ეზოდან ქუჩამდეა, ფეხით აღარ გაიარა მან, ვისთვისაც ეს აუცილებელი იყო.

მერედა განა დღეში ერთხელ ან ორჯერ შემოდიან ეზოებში მსგავსი მანქანები? განა არ ხდება ხოლმე, რომ საათობით, ზოგჯერ კი უფრო დიდხანს დგანან ისინი უფროსთა, მისი ოჯახის წევრების მოლოდინში?

ახლა წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: (იხილეთ ფოტო, რომელიც გადაღებულია თბილისში, ბარნოვის ქუჩა № 108-112 სახლის ეზოში). აქ უკვე ერთ და ორ მანქანაზე როდია ლაპარაკი. საქმე მასობრივ „ავტომობილიზაციასთან“ გვაქვს. წარმოიდგინეთ, რომ ამ მანქანებს დილით ჩართავენ, ისინიც აგუგუნდებიან, ახრჩოლდებიან, ამ ჰაერს ხომ თქვენს გარდა თქვენი ბავშვებიც შეისუნთქავენ!

დავუშვათ, რომ ეს მანქანები არც აპირებენ ადგილიდან დაძვრას. კიდევ უფრო უარესი! მათ ხომ ეზოს თითქმის მთელი ტერიტორია უჭირავთ! სად უნდა ითამაშონ პატარებმა, ამ ეზოს შვილებმა? სად უნდა გაიშალოს ის მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა, რომლის ფართოდ წარმართვასაც მოითხოვს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1974 წლის 14 ნოემბრის დადგენილება — „მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მასობრივ-ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შედეგებზე ერთი წლის უკან მიღებული გადაწყვეტილება?!

სწორედ ეს შეკითხვები მიაგებეს რეიდის მონაწილეებმა ბარნოვის ქუჩაზე № 108-112 სახლში მცხოვრებ „ძიებს“, რომლებიც თავიანთ (სახელმწიფო) მანქანებში პირდაპირ სადარბაზოს კიბეებთან აპირებდნენ ჩასხდომას. საბედნიეროდ, გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა სერიოზულად დაუფიქრდა ამ საკითხს, დაგვეთანხმდა, რომ მანქანების ეზოებში შემოსვლა მეუჩნობაა და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი გამართლება, რომ იგი დასაგმობია. დაგვპირდნენ, ასეც მოვიქცევითო (ამიტომაც გადაწყვიტა რედაქციამ დღეს არ გამოაქვეყნოს მათი გვარები).

მაგრამ ყველამ სწორად როდი გაიგო რეიდის მონაწილეთა ვიზიტის მიზანი, შეგნებულად როდი გააანალიზა მდგომარეობა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი ე. მინდელი, მაგალითად, შეტევაზეც გადმოვიდა: თქვენ ვინ ტიკი-ტომრები ხართ, რა თქვენი საქმეა, ჩემს მანქანას (ალბათ სახელმწიფო ავტომანქანა გაზ-24, № 80-98 გრშ ჰქონდა მხედველობაში) როგორ მოვიხმარო! იგი ადგილზე ლანძღვას არ დასჯერდა, რედაქციაში დარეკა და საუბრისას სიტყვების შესარჩევად იქაც დიდად არ იწუხებდა თავს...

თუმცა ისევ „ჩვენს ეზოს“ დავუბრუნდეთ. შემოწმებისას გამოირკვა, რომ ეზოს „მანქანათმფლობელებისა“ და „დატვირთული ძიების“ გარდა პატივს მაინცდამაინც სხვებიც არ სცემენ (მაგალითად, ბინაშენი), ეს იქიდანაც ჩანს, რომ ეზოში ნარეცხი წყალი იღვრება, უსუფთაობაა.

და უწესრიგობათა ასეთ „თაიგულს“ შევხვდით იმ სახლის ეზოში, სადაც ცხოვრობენ რესპუბლიკის ბევრი დიდი ორგანიზაციის ხელმძღვანელები: ტრესტის მმართველები, მინისტრის მოადგილეები, დაწესებულებათა დირექტორები...

ვინ უნდა იზრუნოს თუ არა მათ, ამ ეზოს კეთილმოწყობისთვის? იქ ხომ შეიძლება პატარებისთვის საქანელების მოწყობა, ჩოგბურთის მაგიდების დადგმა? ძნელი საქმე ხომ არ არის, რომ დაიგეგმოს და რეგულარულად მოეწყოს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები?

ვფიქრობთ, ყველა თბილისელი, რესპუბლიკის ყველა მშრომელი უნდა ზრუნავდეს ეზოთა კეთილმოწყობისთვის, იმისთვის, რომ ეზოებში შეიძლებოდეს დასვენება, გართობა და რაც მთავარია, პატარების ფიზიკური აღზრდის სწორად წარმართვა. ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყნის მომავალი, უნდა იზრუნოს ბავშვთათვის გასართობების, სპორტული მოედნების, საჰყუმპალაოების მოწყობაზე. ამას დაჟინებით მოითხოვს დღევანდელობა, რასაც ერთხელ კიდევ გაესვა ხაზი რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივზე.

„ლელოს“ სარეიდო ბრიგადა.

რედაქციისგან: ისეთი სურათი, როგორიც სარეიდო ბრიგადამ ნახა ბარნოვის ქუჩის № 108-112 სახლის ეზოში, ეპვგარეშეა, იშვიათობას არ წარმოადგენს ჩვენს დედაქალაქში, საქართველოს სხვა ქალაქებში. ამიტომ მკითხველებს ვთხოვთ მოგვწერონ იმ ხელშემშლელ მიზეზებზე, რომლებიც ელობება საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურულ გამაჯანსაღებელი საქმიანობის ფართოდ გაშლას. რედაქცია ფიქრობს, აგრეთვე, სისტემატურად მოაწყოს მსგავსი რეიდები, რათა დღის სინათლეზე გამოიტანოს ის, რაც ხელს უშლის ამ საშვილიშვილო საქმეს.



ავტორიტეტის დაბრუნება

●

ნაკრებზე, მის პრობლემებზე და ერთ საზღვარგარეთულ ტურნეზე

მონრეალის ოლიმპიური ტურნირი ვლადიმერ კონდრაშინისთვის უკანასკნელი გამოცდა იყო ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტზე. ამიტომ ბუნებრივია, რომ ის, რაც მერე მოხდა, საფუძვლად დაედება საბჭოთა კავშირის მთავარი გუნდის ხელახალ აღორძინებას.

სპორტში ასეთი რამ არც ისე იშვიათად ხდება: ერთი გამოცდილი და დაფასებული მწვრთნელი არანაკლებმა შეცვალა. პირველი, რიგი მიზეზებისა გამო თავის მშობლიურ კლუბს მიუბრუნდა მთლიანად, მეორე კი ახალი ვადითა და ახალი უფლებამოსილებით ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტზე დაინიშნა.

ვლადიმერ კონდრაშინი ნაკრებიდან სასიამოვნო მოგონებებით წავიდა. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან მან, როგორც მწვრთნელმა და მოქალაქემ პირნათლად მოიხადა ვალი თავისი ქვეყნის, გუნდისა და საყვარელი სპორტის წინაშე. მოგონებები მრავალგვარია, მაგრამ ორი მათგანი განსაკუთრებით ძვირფასია მწვრთნელისთვის. პირველი მოგონება საბჭოთა კალათბურთის ისტორიაში პირველ ოლიმპიურ ოქროს მედლებთანაა დაკავშირებული, მეორე კი იმ ღირსსახსოვარ თარიღთან, როცა სსრ კავშირის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა. კონდრაშინს, რა თქმა უნდა, უსიამოვნო წუთების გახსენებაც შეუძლია კალათბურთთან დაკავშირებით, მაგრამ ადამიანს უფრო ხშირად დადებითი ემოციები აფორიაქებს. ეს, ჩვენის აზრით სავსებით კანონზომიერია და გამართლებული.

ალექსანდრე გომელსკის ახალი მისია ჩამოთვლილ წარმატებათა ფონზე უფრო რთულია და პასუხსაგები. მან ჯერ ამ გამარჯვებების სიტკბო უნდა იგემოს მთლიანად, მერე კი იბრძოლოს მათი შენარჩუნებისთვის.

გასული წლის 26 ივლისს მონრეალში იუგოსლავიის ნაკრებთან ნახევარფინალში მარცხმა განაპირობა, ფაქტიურად, მოვლენათა ზემოთქმული განვითარება. თუმცა ბრინჯაოს მედლები ასეთი რანგის ტურნირში უფრო წარმატებაა, ვიდრე წარუმატებლობა, ოღონდ ასეთი შეფასებისთვის პირობები უნდა იყოს სხვა და დონეც — ამ პირობების შესაბამისი. ამიტომ დამკვიდრდა აზრი, რომ მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონისთვის მონრეალის შედეგი არამარტო ნომინალური მარცხია, არამედ, და ეს უფრო მთავარია, თვისობრივი ნაბიჯი უკან.

ალბათ ახალს არაფერს აღმოვაჩენთ თუ ვიტყვით, რომ ამ ქვეყნად ყველაფერმა იცის შეჩვევა. ეს ყველაზე მეტად სახელსა და დიდებას ეხება. და რომ ეს უკანასკნელი გარკვეული მომენტის შემდეგ მავნე ჩვევად არ ჩამოყალიბდეს, ხშირად საჭიროა ქირურგიული ჩარევა. კონდრაშინს თავისი წილი ტაში დიდ კალათბურთში მიღებული აქვს. ახლა ნაკრებში „სისხლის გადასხმის" დრო დადგა. გადასასინჯი იყო გუნდის ფსიქოლოგიური კონცეფციის სიღრმეც, პირველ ყოვლისა მისი ბრძოლისუნარიანობა და სიმტკიცე.

ვის უნდა ეტვირთა ეს რთული ხვედრი, თუ არა გუნდის ყოფილ დამრიგებელს, ჭკვიან, წინდახედულ და გამოცდილ მწვრთნელს ალექსანდრე გომელსკის? საბჭოთა კალათბურთის გლობალური პოზიციებიდან ეს უმნიშვნელო გადაჯგუფებაა, მაგრამ ისეთი, რომელსაც სწორი ძირი აქვს, მიზანი კი — კონკრეტული. ამიტომაც ნათელია: მიზნის სისწორე უსათუოდ შეუწყობს ხელს ჩვენი კალათბურთის მომავალს.

ბოლო საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ გულახდილი საუბარი მქონდა კონდრაშინთან. მოგვიანებით ასეთივე საუბარი შედგა გომელსკისთან. იგი უკვე დანიშნული იყო ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტზე და ამიტომაც, ცხოვრებას ცოტა სხვა თვალით უყურებდა. ორთავე მწვრთნელმა, როცა ლაპარაკი გუნდის სახვალიო პრობლემებზე ჩამოვარდა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთნაირი მოსაზრება გამოთქვა.

ამ ორი სამახსოვრო საუბრის პრეამბულა მარტივია. ორიოდე სიტყვით იგი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: დღეს თუ ხვალ ჩვენი ქვეყნის მთავარი გუნდის ცხოვრებაში უსათუოდ დადგება ასაკობრივი კრიზისის პრობლემა. კონდრაშინის აზრით ეს პერიოდი თითქმის კარზე მოგვადგა, გომელსკის კი მიაჩნია, რომ კრიზისი უკვე დაიწყო.

ერთი შეხედვით წინააღმდეგობა თითქოს უმნიშვნელოა. ორივე ერთნაირად აღიარებს პრობლემის სიღრმეს და რაც მთავარია, რეალურობას. განსხვავება მხოლოდ დროის განსაზღვრაშია, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ეს უმნიშვნელო განსხვავება მონრეალის შედეგების, ე. ი. უკვე მომხდარი ფაქტის სხვადასხვაგვარი შეფასების საბაბი გახდა.

კონდრაშინს ალბათ გულწრფელად სწამს, რომ 26 ივლისის მარცხი არამც და არამც არ ასახავს ძალთა ობიექტურ შეფარდებას ეტიენ დემარტოს საბიელზე და რომ მისი გუნდი ვალდებული იყო ათიდან ცხრა შეხვედრა მაინც მოეგო იუგოსლავიისათვის. როგორც ხედავთ, ნაკრების ყოფილ მწვრთნელს მონრეალის მარცხში წინა პლანზე გამოჰყავს ფატალური საწყისი.

მაგრამ აქ ერთი არსებითი უზუსტობაა. ვინაიდან კონდრაშინი თავისი აზრის გასაბათილებლად ერთი პროცენტის არსებობას მაინც უშვებს, ფაქტიურად ხავსს ეკიდება. ათიდან ცხრა ვარიანტი მართლაც არ არის სრული გარანტია ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ მეათე ვარიანტი თავისთავად სანქცირებული ჭეშმარიტებაა. ამიტომ მიგვაჩნია ამ შემთხვევაში უფრო სარწმუნოდ გომელსკის პოზიცია, რომელიც დაახლოებით ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: მონრეალის მარცხი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის საკმაოდ გრძელი ჯაჭვის ლოგიკური შედეგია და თუ ნაკრებმა არსებითად არ შეცვალა თავისი დამოკიდებულება კალათბურთისადმი, ეს უსიამოვნო პროცესი, შესაძლოა უფრო გაღრმავდეს.

რა გზა აქვს მონიშნული გომელსკის ამ პრობლემების გადასაჭრელად, ეს მისი საიდუმლოებაა და დღეს აზრი არა აქვს ამის თაობაზე მარჩიელობას. მით უმეტეს, რომ ჩვენ, თქვენთან ერთად მხოლოდ მეთვალყურეები ვართ, და უკეთეს შემთხვევაში მსჯელობა შეგვიძლია მომხდარი ფაქტის გარშემო. მაგრამ როცა მწვრთნელი კატეგორიულად აცხადებს — ნაკრებმა მომავალი ტურნირებისთვის სამზადისი ფაქტიურად ნულიდან უნდა დაიწყოსო, სარწმუნოა, რომ დიდ კალათბურთში იგი მართლაც კონკრეტული გეგმებით არის დაბრუნებული.

რა თქმა უნდა შეცდომა იქნება იმის მტკიცებაც, თითქოს 2-3 თვეში ნაკრებმა უკვე საკმარისი ტრანსფორმაცია განიცადა. საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში გამარჯვება ამის მაგალითად არ გამოდგება. თუ ამ წარმატებას ნაკრების ახალი ცხოვრების დასაწყისად მივიჩნევთ, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ გომელსკის ცოტა რამ ჰქონია გასაკეთებელი.

ამიტომ გულახდილად ვაღიაროთ. ნაკრების ბოლო წარმატებაში გარკვეული როლი ინერციამ ითამაშა. გომელსკის დამსახურება კი ამ ეტაპზე ისაა, რომ მან შედარებით მოკლე დროში შესძლო შემადგენლობის ერთგვარი გადახალისება და ძალთა გადაჯგუფება. ეს აშკარად იგრძნობოდა ამ ტურნირის პირველ პერიოდშიც და შემდეგაც, როცა გათამაშება არგენტინის, ბრაზილიის, მექსიკის, კანადისა და აშშ-ს დარბაზებში გაგრძელდა.

თუმცა უმჯობესია მოვისმინოთ რას ფიქრობს ამის თაობაზე ჩვენი დღევანდელი საუბრის მესამე მონაწილე მიხეილ ქორქია, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ დაბრუნდა თბილისში ხანგრძლივი მოგზაურობიდან.

● **მიხეილ, იგრძნობა თუ არა ნაკრებში ახალი ხელმძღვანელობის ხელი?**

— ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ასეთ მოკლე დროში ძნელია. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას მოელით თქვენ ახალი ხელმძღვანელობისაგან. კალათბურთის სტრატეგიის დარგში არა მგონია, რაიმე არსებითად შეიცვალოს. ეს არც არის საჭირო. საბჭოთა კალათბურთის სტრატეგია უკვე მრავალი წელია, ჩამოყალიბდა. რაც შეეხება ტაქტიკას, აქ უკვე იგრძნობა ცალკეული პოზიციური ძვრები და სიახლეები, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ნაკრების ძირითადი ბირთვი უცვლელი დარჩა. ესე იგი ახალი ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს მის განკარგულებაში მყოფი რესურსები და წარმართოს თამაში იმდაგვარად, როგორც მას ესმის.

● **ახლა თუ შეიძლება ვისაუბროთ თქვენს ამასწინანდელ ტურნეზე. პირველი საპასუხო მატჩი საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში, თუ არ ვცდები, ბრაზილიასთან გქონდათ. როგორ წარიმართა ეს შეხვედრა?**

— მცირეოდენი შესწორება. ბრაზილიელებთან შეხვედრას წინ უსწრებდა ერთი საკონტროლო მატჩი პერუში. აქ ჩვენ საბოლოოდ დავაზუსტეთ ტაქტიკა, შევიმუშავეთ კონკრეტული გეგმა, გამოვცადეთ რამდენიმე ტაქტიკური ნახაზი და ასე ყოველმხრივ აღჭურვილი ჩავფრინდით სან-პაულუში. გახსოვთ ალბათ მოსკოვის მძიმე მატჩი ბრაზილიელებთან. ჩვენც ამ უსიამოვნო შთაბეჭდილების ქვეშ ვიმყოფებოდით დიდხანს, მაგრამ მწვრთნელმა დაგვარწმუნა, რომ საგანგაშო არაფერია და რომ წარუმატებლობის შემთხვევაშიც ჩვენი პოზიცია სხვა კონკურენტებთან შედარებით უფრო პერსპექტიული იყო. პირველი შეხვედრა სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე 2 ქულით წავაგეთ. 20 ათასი ტემპერამენტიანი მაყურებელი აღფრთოვანებული შეხვდა საყვარელი გუნდის წარმატებას. ჩვენ უგუნებოდ ვიყავით მატჩის შემდეგ, ვინაიდან ვგრძნობდით, რომ ბრძოლის მოგება შეიძლებოდა. მაგრამ ბრაზილიის სტადიონებზე ძნელია სულიერი სიმტკიცის შენარჩუნება, მით უმეტეს, როცა გრძნობ მსაჯის მიკერძოებულ დამოკიდებულებას შენდამი.

● **თუ იყო რაიმე მოულოდნელობა ბრაზილიელთა თამაშში მოსკოვის მატჩთან შედარებით?**

— არაფერი ახალი. ისევე როგორც მოსკოვში, ეს გუნდი უმთავრესად ექვსი კალათბურთელით თამაშობდა. ჩვენთან ძირითადმა შემადგენლობამ ბოლომდე ვერ გაძლო მოედანზე, სან-პაულუში კი ყველა შემორჩა მატჩის ბოლომდე. ბრაზილიელთა ტაქტიკა მთლიანად კონტრშეტევებზეა აგებული. ამ იარაღს ისინი ბრწყინვალედ ფლობენ. თანამედროვე კალათბურთის სხვა ტაქტიკური ვარიანტებისადმი საკმაოდ გულგრილად არიან განწყობილი, კერძოდ, ზონური პრესინგისადმი. მაგრამ ტაქტიკური აზროვნების სიღარიბეს სწრაფი და აქტიური თამაშით ანაზღაურებენ. ბრაზილიის კალათბურთში აღარ არიან ვლამირის, მენონისა და უბირატანის მსგავსი ოსტატები. გუნდში ყველაზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მარინიო, რომელიც თამაშის სტილით ძალზე ჩამოჰგავს ზურაბ საკანდელიძეს.

● **თქვენ ჯერ არაფერი გითქვამთ არც თქვენს თამაშზე და არც ნიკოლოზ დერიუგინზე. „ლელოს" მკითხველებს კი ყველაზე მეტად სწორედ ეს აინტერესებთ.**

— საქმე ისაა, რომ არც მე და არც დერიუგინს პირველ მატჩებში მონაწილეობა არ მიგვიღია. უნდა გამოვტყდე, რომ ოდნავ გულგატეხილი ვიყავი კიდეც. ვფიქრობდი, რომ ჩემი თამაშის სტილი არ მოსწონდა მწვრთნელს. ასე რომ გაგრძელებულიყო, ალბათ ნაკრებსაც დავეთხოვებოდი. მაგრამ ეჭვები ნაადრევი გამოდგა. არგენტინიდან მექსიკამდე ფრენას დიდხანს მოვუნდით. იქნებ სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ მესამე მატჩი ძალზე სუსტად დავიწყეთ და დიდხანს მდევრების როლში გამოვდიოდით. განსაკუთრებით გაჭირდა 35 წლის რაგას უვნებელყოფა. ეს ექსტრა კლასის კალათბურთელი ერთ დროს მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებშიც კი შეიყვანეს, დიდხანს იტალიისა და შვეიცარიის კლუბებში გამოდიოდა, ბოლოს სამშობლოში დაბრუნდა და ისევ თავისი ეროვნული გუნდის ლიდერი გახდა. მანუელ რაგა მთვლემარე ვეფხვს წააგავს, რომელიც ყოველ წუთს მზადაა გაუმკლავდეს მსხვერპლს: გარეგნულად მშვიდი და პასიური, უცებ ფეთქდება და მაშინ მართლაც უძლეველია. რაგამ პირველივე წუთიდან შებოჭა ჩვენი კაპიტანი სერგეი ბელოვი — ეს კი გუნდისთვის კატასტროფის ნიშანი იყო. ამ კრიტიკულ მომენტში, დაახლოებით თამაშის დაწყებიდან მეცხრე წუთზე მწვრთნელმა გვერდზე მომისვა და ხმადაბლა მითხრა: ახლა შენი ჯერიც დადგა, გადი მოედანზე და რისი გაკეთებაც შეგიძლია, გვიჩვენეო. წახალისება არ მჭირდებოდა — ისედაც ზამბარასავით ვიყავი მომართული და გასვლისთანავე მძიმე ბრძოლაში ჩავები. მახსოვს მხოლოდ ის, რომ ზედიზედ ორი ბურთი ჩავაგდე და რამდენიმე ზუსტი პასი მივეცი პარტნიორს ფარის ქვეშ. ეს ძნელი მატჩი ჩვენმა გუნდმა ბოლოს და ბოლოს იოლად მოიგო. თამაშის შემდეგ ჩემსა და გომელსკის შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— თავს როგორ გრძნობ?

— მშვენივრად!

— ლოდი თუ მოგეხსნა გულიდან?

— მომეხსნა.

— ჰოდა, აწი მზად იყავი, ყველა დარჩენილ მატჩს ითამაშებ.

— აქამდეც მზად ვიყავი.

— სამაგიეროდ მე არ გიცნობდი კარგად.

— ეს იყო და ეს. მექსიკელებთან შეხვედრის შემდეგ ნიკოლოზ დერიუგინი და მე ხუთეულს არ მოვცილებივართ. ჩვენს გარდა სასტარტო შემადგენლობაში ბელოვი, მილოსერდოვი და ტკაჩენკო თამაშობდნენ. კალათბურთელთა შეცვლას ხან დასვენების, ხან კი რაიმე ტაქტიკური ჩანაფიქრის განხორციელების მიზნით გომელსკი სადღაც პირველი ტაიმის მიწურულში მიმართავდა ხოლმე. მანამდე კი ჩვენს კისერზე იყო ყველაფერი.

● **რას ფიქრობთ კანადის ნაკრებზე? ხომ შეიძლება იგიც ჩვენი პოტენციური მეტოქე გახდეს მოსკოვის ოლიმპიადაში?**

— იგი უკვე დღეს სტოვებს სასიამოვნო შთაბეჭდილებას. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ჯეკ დანაჰიუს. ამ მწვრთნელის შესახებ ადრეც ბევრი მსმენია, მაგრამ საკალათბურთო სამყაროში იგი ცნობილია, როგორც პროფესიული კალათბურთის ყველაზე პოპულარული ვარსკვლავის ალსინდორის (ამჟამად აბდულ ჯაბარის) პირველი აღმზრდელი. დანაჰიუმ ჯერ კიდევ მონრეალის ოლიმპიადის წინ შექმნა ახალგაზრდული კოლექტივი, რომელმაც მაშინ მეოთხე ადგილი დაიკავა. უნდა გენახათ, როგორ იზეიმეს კანადელებმა ეს წარმატება. ახლა ოლიმპიელთაგან გუნდს მხოლოდ ორი კალათბურთელი შემორჩა. დანარჩენები ახალბედები არიან, მაგრამ მწვრთნელი ფიქრობს, რომ მოსკოვის ოლიმპიადისთვის ისინი საკმაო ოსტატობასაც შეიძენენ და გამოცდილებასაც. ძველი გუნდის დანარჩენი წევრები პროფესიონალებში გადავიდნენ და მიმოიფანტნენ აშშ-ს სხვადასხვა კლუბებში. დანაჰიუ წარმოშობით ამერიკელია, კანადის კალათბურთის ფედერაციამ მას კონტრაქტი დაუდო მოსკოვის ოლიმპიადამდე. მერე კი, როგორც ჩანს, იგი სამშობლოში დაბრუნდება და რომელიმე პროფესიულ კლუბს ჩაუდგება სათავეში.

● **ამ ტურნეში, ისევე როგორც სხვა შეჯიბრებებში, საბჭოთა კალათბურთელების მთავარი მეტოქეები ამერიკელები იყვნენ. როგორი შთაბეჭდილება დატოვეს კალათბურთის ფუძემდებლებმა ამჟამად?**

— ალბათ გახსოვთ, რომ საპასუხო მატჩი ამერიკელებთან წავაგეთ, თუმცა კი ინიციატივა თავიდან ბოლომდე ხელთ გვეპყრა. კალათბურთში ასეთი რამ არც თუ იშვიათად ხდება: ერთი ბატონობს მოედანზე, კარნახობს ნებასურვილს, ხიბლავს მაყურებელს, მეორე კი ქულებს აგროვებს. საკონკურსო მატჩში ამერიკელებთან დავმარცხდით, თუმცა ამ შედეგს ჩვენს სატურნირო მდგომარეობაზე არ უმოქმედია. სამაგიეროდ, რამდენიმე დღის შემდეგ იმავე გუნდთან რევანში ავიღეთ. ეს იყო ჩვენი ნაკრების სრული რეაბილიტაცია ამერიკელი მაყურებლების თვალში.

● **რამდენიმე სიტყვა ჩვენი ნაკრების წევრებზე. ვინ ითამაშა კარგად, ვინ ვერ გაამართლა იმედები, და როგორ რეაქციას იძლეოდა ყველაფერ ამაზე მწვრთნელი?**

— დავიწყებ ნიკოლოზ დერიუგინით, მით უმეტეს, რომ მკითხველს ყველაზე მეტად ალბათ მისი თამაში აინტერესებს. როგორც უკვე მოგახსენეთ დერიუგინი პირველად მექსიკელებთან თამაშში გამოვიდა. აქედან მოყოლებული მას არც ერთი შეხვედრა არ გაუცდენია (ბოლო მატჩი, ოღონდ უკვე ამხანაგური, პუერტო-რიკოში ჩავატარეთ ადგილობრივ ნაკრებთან და ისიც მოვიგეთ), ტურნეს დამთავრების შემდეგ გომელსკიმ ხაზგასმით აღნიშნა ახალგაზრდა კალათბურთელის კარგი თამაში და გულახდილად დაულოცა გზა დიდ კალათბურთში. ასეთი იყო ხელმძღვანელის ოფიციალური შეფასება. ეს რომ არ ყოფილიყო, ჩემი ნათქვამი არაობიექტურად მოგეჩვენებოდათ, მარამ მწვრთნელის ავტორიტეტის მოშველიებით თამამად ვაცხადებ, რომ ნიკოლოზ დერიუგინი ამ ტურნეში საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელი იყო, ამერიკელებთან მატჩში კი — ყველაზე ძლიერი მოთამაშე. გუნდის სხვა წევრებიდან უსათუოდ უნდა გამოვყო მილოსერდოვი, ჟიგილიი და, როგორც ყოველთვის, სერგეი ბელოვი. დანარჩენებზე არც კარგის თქმა შეიძლება, არც ცუდის. აშკარად სუსტად ჩაატარეს ტურნე მიშკინმა და ბელოსტენნიმ. ეს უკანასკნელი ჯერ ახალბედაა და ალბათ ამიტომ ერთგვარ თანაგრძნობასაც იმსახურებს. მიშკინმა კი, ჩემის აზრით, უკანასკნელად იმოგზაურა ნაკრებთან ერთად. არა და საწყენია, რომ ასეთი კარგი მონაცემების მქონე კალათბურთელი ვერ პოულობს თავის თამაშს აგერ უკვე რამდენი წელია. თუმცა ვინ იცის, იქნებ მწვრთნელს სულ სხვა გეგმები აქვს მიშკინთან დაკავშირებით.

ნ. გუგუშვილი.

კალათბურთი

პირველ და... მეთორმეტე ადგილებზე

თბილისში დამთავრდა განათლების სამინისტროების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების გუნდების საკავშირო ტურნირი კალათბურთში.

როგორც ვიუწყებოდით, მთავარ ფინალში, სადაც I-VI ადგილები თამაშდებოდა, წარმატებით გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის პირველი ნაკრები. ბოლოსწინა ტურში ანგარიშით 108:51 დაამარცხა ტაჯიკეთის გუნდი, ხოლო ბოლო მატჩში ასევე დიდი ანგარიშით — 99:26 — უკრაინის კოლექტივი. ხუთ მატჩში საქართველოს პირველმა გუნდმა 496 ქულა მოაგროვა, მისმა მეტოქეებმა კი — 235. ესე იგი მასპინძლებმა თითოეული მატჩი საშუალოდ 50 ქულის უპირატესობით მოიგეს.

II ადგილი დაიკავეს ტაჯიკეთის წარმომადგენლებმა, რომლებმაც თანამედროვე კალათბურთი აჩვენეს. გუნდმა დაცვის რამდენიმე ვარიანტი და მთელ მოედანზე პრესინგიც გამოიყენა. სწორედ ასეთი ტაქტიკით შეძლეს მათ დიდი ანგარიშით (111:82) დაემარცხებინათ ლიტველი თანატოლები, რომლებიც III ადგილზე გავიდნენ. ამ ექვსეულში დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: IV — ბელორუსია, V — რსფსრ, VI — უკრაინა.

საქართველოს პირველი გუნდის წარმატებასთან ერთად უნდა აღინიშნოს ჩვენი რესპუბლიკის მეორე კოლექტივის სუსტი გამოსვლა. დასანანია, რომ გუნდი, რომელსაც გაისად ტაშკენტში მოსწავლეთა სპარტაკიადაზე რესპუბლიკის სახელის დაცვა მოუწევს (იმ დროისთვის პირველი გუნდის მოთამაშეთა უმრავლესობის ასაკი ნორმით გათვალისწინებულს „გადააჭარბებს") XII ადგილზე გავიდა. წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი ვფიქრობთ, მოთამაშეთა გადაღლა უნდა იყოს: მათ ხომ ერთი თვის განმავლობაში (15 ივნისიდან 14 ივლისამდე) 22 მატჩი ჩაატარეს (!), მათ შორის 8 შეხვედრა — საქართველოს პირველობაზე უფროსებთან.

იმედია, ერთ წელიწადში ნორჩი სპორტსმენები უფრო დაოსტატდებიან, გამოცდილებას შეიძენენ და ტაშკენტში ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელებისთვის შესაფერ დონეზე გამოვლენ.

ლ. ფაილოძე.

დაძაბული ვითარება

ფინიშმა უკიდურესად დაძაბა ბრძოლა ლენინგრადში მიმდინარე დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირში. შესამჩნევად გაიზარდა თითოეული შეხვედრის მნიშვნელობა, განსაკუთრებით — ლიდერთათვის. XV ტურში სწორედ მათი პარტიები იწვევდა დიდ ინტერესს.

ო. რომანიშინი ყაიმს დასჯერდა თანაქალაქელ ა. ბელიავსკისთან (ორივე — სსრ კავშირი, ლვოვი), ვეტერანი ვ. სმისლოვი (სსრ კავშირი) — ზ. რიბლისთან (უნგრეთი). აგრეთვე, დაზავდნენ ფ. გეორგიუ (რუმინეთი) — ლ. ფოგტი (გდრ).

მ. ტალმა (სსრ კავშირი) ენერგიული შეტევით მოუგო ი. რადულოვს (ბულგარეთი). მას მიბაძეს ს. მარიოტიმ (იტალია) და ა. კოჩიევმა, რომლებმაც სძლიეს გ. კუზმინს (ორივე — სსრ კავშირი) და ი. სმეიკალს (ჩეხოსლოვაკია).

სამი პარტია გადაიდო. მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვს მოსაგები პოზიცია აქვს გ. გარსიასთან (კუბა). ფიგურათა დაძაბული ურთიერთობაა მ. ტაიმანოვ — რ. ვაჰანიანის და ი. ბალაშოვ (სამივე — სსრ კავშირი) — მ. კნეჟევიჩის (იუგოსლავია) დაუმთავრებელ პარტიებში.

15 ტურის შემდეგ ო. რომანიშინს 9 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, მ. ტალს — 8,5 (2), ვ. სმისლოვს — 8,5 (1), რ. ვაჰანიანს — 8 (2), ა. კოჩიევს — 8, მ. ტაიმანოვს — 7,5 (2).

ჭადრაკი

ტრადიციული ფესტივალი

სამტრედიის საჭადრაკო კლუბში დამთავრდა დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების მოსწავლეთა V ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალი, რომელიც სამტრედიის კომკავშირის რაიკომის, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თაოსნობით ტარდება.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ტყიბულის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის და სამტრედიის პირველი, მეორე და მესამე თანრიგის 54 ნორჩი მოჭადრაკე, მათ შორის 7 გოგონა.

I ადგილი დაიკავა ქუთაისელმა მ. შათირიშვილმა — 7 ქულა 8-დან. II ადგილზეა ჩოხატაურელი ა. ბერძენიშვილი — 6,5. III-IV ადგილები გაიყვეს ქუთაისელებმა ზ. გრძელიშვილმა და ს. სანებლიძემ — 6-6. გოგონათა შორის გაიმარჯვა ზუგდიდელმა მ. არონიამ (მწვრთნელი ჟ. მზარელუა) — 5,5 ქულა. II ადგილზეა ტყიბულელი ვ. შეყილაძე (მწვრთნელი გ. კობახიძე). III ადგილი კოეფიციენტთა ცხრილით ქუთაისელ ი. ახალაძეს ხვდა.

თ. ხარლამიდი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

კ. ჯავრიშვილი

გარდაიცვალა მთამსვლელობის ვეტერანი, ალპინიზმის უფროსი ინსტრუქტორი კონსტანტინე (კოტე) ვასილის ძე ჯავრიშვილი.

კ. ჯავრიშვილი დაიბადა 1914 წელს ულან-უდეში. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. აქვე ეზიარა ალპინიზმს და შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა გეოლოგიას, ალპინიზმსა და სპელეოლოგიას.

კ. ჯავრიშვილმა 1936 წლიდან ათეული მწვერვალი დაიპყრო ცენტრალურ და აღმოსავლეთ კავკასიონზე, მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო ასვლები ყაზბეგზე, შინოზე, თებულოზე... 1938 წელს, კომკავშირის დაარსების 15 წლისთავთან დაკავშირებით, მისი ხელმძღვანელობით მოწყობილი ასვლისას დაპყრობილი იქნა შავანას ქედის უსახელო მწვერვალი (4400 მ), რომელსაც „ბორის ძნელაძე“ ეწოდა.

კ. ჯავრიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის მასობრივი ალპინიადების ჩატარებში. 1938 წ. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა პირველი მასობრივი ასვლა აღმოსავლეთ კავკასიონზე, შემდეგ — აფხაზეთის ალპინიადა, მთიულეთის ალპინიადა და სხვ.

სამამულო ომის წლებში კ. ჯავრიშვილი ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის ფრონტისთვის მთამსვლელ ინსტრუქტორთა მომზადებას, ამავე პერიოდში მან განახორციელა სამხედრო ნაწილების ასვლები ირანის უმაღლეს მწვერვალზე დემავენდზე.

კ. ჯავრიშვილი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა, აგრეთვე, მთამსვლელ თანრიგოსანთა და ახალგაზრდა დამწყებ მთამსვლელების მომზადების საქმეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო საქართველოს ალპური კლუბის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია,

საქართველოს ალპური კლუბი.

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

ფეხბურთი '77

მოგვყავს უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეთოთხმეტე ტურის სტატისტიკური მონაცემები:

„შახტიორი“ — „კრილია სოვეტოვ“ 3:0. პირველი გოლი გაიტანა სტარუხინმა, ხოლო დანარჩენი ორი — რეზნიკმა.

„კარპატი“ — „ზენიტი“ 1:2. ანგარიში გახსნა ლვოველმა ციმბალიუკმა. ამის მერე ორი გოლი გაიტანეს ლენინგრადელებმა კლემენტიევმა და მარკინმა.

„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 2:0. პირველ ტაიმში გოლი გაიტანა პოგორელოვმა, მეორეში — კარპიუკმა.

„დინამო“ (კიევი) — „არარატი“ 3:0. გოლების ავტორები არიან ბლოხინი, ონიშჩენკო, ბერეჟნოი.

15 ივლისს გაიმართა მეთოთხმეტე ტურის ბოლო ორი მატჩიც. აი შედეგებიც: „ტორპედო“ — „ნეფთჩი“ 0:0, „დნეპრი“ — „ქაირათი“ 0:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ თბ.	14	7	6	1	24—12	20
„დინამო“ კ.	13	5	8	0	21—6	18
„ლოკომოტივი“	14	5	8	1	13—8	18
„დინამო“ მ.	14	5	7	2	15—8	17
„შახტიორი“	14	7	3	4	15—8	17
„ტორპედო“	14	5	7	2	14—10	17
„არარატი“	14	5	5	4	12—12	15
„ქაირათი“	14	3	9	2	12—13	15
„ზენიტი“	14	3	8	3	10—11	14
„ნეფთჩი“	14	2	9	3	14—18	13
„ჩერნომორეცი“	13	4	3	6	16—19	11
„დნეპრი“	14	4	3	7	10—19	11
ცსკა	14	1	9	4	10—19	11
„ზარია“	14	3	3	8	10—13	9
„კარპატი“	14	2	5	7	10—16	9
„კრ. სოვეტოვი“	14	1	5	8	10—24	7

მეორე ლიგა

14 ივლისს გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები. საქართველოს გუნდების მატჩების შედეგები ასეთია: „დინამო“ (კიროვი) — „სპარტაკი“ (თბილისი) 2:1, „დინამო“ (მახაჩყალა) — „დილა“ (გორი) 2:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „დინამო“ (ბათუმი) 3:1, „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:0, „სოკოლი“ (სარატოვი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:0. როგორც ხედავთ, საქართველოს გუნდებმა სტუმრად გამართული ხუთივე მატჩი წააგეს. სამტრედიის „ლოკომოტივმა“ საკუთარ მინდორზე დაამარცხა სოხუმის „დინამო“ ანგარიშით 3:1. გთავაზობთ ამ ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგებსაც: „ზენიტი“ (იჟევსკი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 1:0, „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 3:0, „გასტელო“ (უფა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 2:0, „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 2:0, „ტორპედო“ (ტოლიატი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 0:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტ.“ ნლ.	20	13	5	2	29—13	31
„შირაკი“	20	12	3	5	38—22	27
„დინამო“ მხ.	20	10	6	4	39—27	26
„გურია“	20	9	6	5	45—30	24
„ავტომობ.“	20	10	3	7	29—23	23
„დინამო“ ზ.	20	9	4	7	26—18	22
„დინამო“ ბ.	20	9	4	7	27—20	22
„სოკოლი“	20	9	4	7	29—23	22
„დინამო“ კრ.	20	9	3	8	20—20	21
„დრ.“ (ი.-ო.)	20	9	3	8	25—27	21
„ტორპედო“	20	8	4	8	26—25	20
„დილა“	20	8	4	8	31—37	20
„გასტელო“	20	8	3	9	31—27	19
„ლოკომ.“	20	6	7	7	27—29	19
„დრუჟ.“ მ.	20	6	7	7	19—23	19
„დინამო“ სხ.	20	6	7	7	21—29	19
„პროგრესი“	20	6	6	8	19—19	18
„ზენიტი“	20	6	4	10	29—28	16
„სპარტ.“ თბ.	20	6	4	10	21—30	16
ფიზკ. ინსტ.	20	5	5	10	17—24	15
„ტურბინა“	20	4	6	10	19—29	14
„არაზი“	20	2	2	16	17—57	6

ივნისში საუკეთესო — დავით ყიფიანი

ყოველთვიურად გაზეთი „ტრუდი“, ფეხბურთის რეპორტიორების, კომენტატორებისა და მიმომხილველების გამოკითხვის შედეგად, ასახელებს საუკეთესო ფეხბურთელს. მორიგ გამოკითხვაში მონაწილეობდნენ ვ. ბერეზოვსკი („სოვეტსკი სპორტი“), ვ. ვინოკუროვი („ფუტბოლ-ხოკეი“), ო. ვიხრევი („კრასნაია ზვეზდა“), ა. გორბუნოვი და ა. ლევინსონი (საკდესი), სპორტის დამსახურებული ოსტატები ე. მაიოროვი, ნ. ოზეროვი (ორივე — ცენტრალური ტელევიზია და საკავშირო რადიო), ვ. პონედელნიკი („სოვეტსკი სპორტი“), ვ. პახომოვი („ვეჩერნიაია მოსკვა“) და. გ. რადჩუკი (ფუტბოლ-ხოკეი“).

ხმების უმრავლესობით ივნისის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი დავით ყიფიანი.

სსრ კავშირის ნაკრების მოთამაშე, მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერი ყიფიანი გამოირჩევა პოზიციის შერჩევის უნარით, მრავალფეროვანი დარტყმით, რბილი, თავისებური ტექნიკური თამაშით. ხშირად ის შეტევის არა მარტო დამამთავრებელი, არამედ დამწყებიც არის, როგორც წესი, დავითი ყოველთვის კორექტული და დისციპლინირებულია მინდორზე.

ფარიკაობა

ბუენოს-აირესი, (საკდესი). ორი საბჭოთა რაპირისტი — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, მოსკოველი ალექსანდრე რომანკოვი და ნაკრების დებიუტანტი, კიეველი ვლადიმერ სმირნოვი გავიდნენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, რომელმაც სტარტი არგენტინის დედაქალაქში აიღო. ჯილდოებისთვის იბრძოლებენ, აგრეთვე, იტალიელები კარლო მონტანო და 17 წლის ანდრეა ბორელა, ოლიმპიადა-76-ის ბრინჯაოს პრიზიორი, ფრანგი ბერნარდ ტალვარი და ჰარალდ ჰაინი (გფრ).

წარუმატებლად იასპარეზეს ოლიმპიურმა ჩემპიონმა, იტალიელმა მარიო დელ ზოტომ, რომელმაც, სხვათა შორის, წააგო რომანკოვთან — 4:5, ძლიერმა სპორტსმენებმა უნგრელმა ლაიოშ შომოდიმ, ავსტრალიელმა გრეგორი ბენკომ და საბჭოთა რაპირისტმა საბირ რუზიევმა.

მძლეოსნობა

პოლონეთის დედაქალაქის სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მილზე ასპარეზობაში მსოფლიო რეკორდსმენმა, ახალზელანდიელმა ჯ. უოკერმა 1500 მეტრზე ირბინა და მიმდინარე სეზონში მსოფლიოში საუკეთესო შედეგი (3.34,6) აჩვენა. ეს ტანზანიელი ფ. ბეიის მსოფლიო რეკორდს 2,4 წამით ჩამორჩება. II ადგილზე გასულმა გ. ვასილევსკიმ გააუმჯობესა პოლონეთის რეკორდი — 3.37,3. პოლონეთის ვაჟთა გუნდმა 4×100 მეტრზე ესტაფეტაში 38,78 წამი აჩვენა. ესეც პოლონეთის რეკორდია და წლეულს საუკეთესო შედეგი გახლავთ მსოფლიოში.

რეკორდები

ნოვაია კახოვკაში, უკრაინის მშვილდოსანთა ჩემპიონატზე, „სპარტაკის“ გუნდმა (ს. ბელიავსკი, დ. იარემკო და ა. ქილკო) „მ-1“ ვარჯიშის ჯამში 3680 ქულა მოაგროვა და 10 ქულით გააუმჯობესა სსრ კავშირის რეკორდი, რომელიც 1972 წელს ევროპის პირველობაზე დამყარდა.

ძალოსნობა

სოფიაში გრძელდება იუნიორ ძალოსანთა მესამე მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა ძალოსნებმა მესამე ოქროს მედალი მოიპოვეს 82,5 კგ წონითს კატეგორიაში: სვერდლოვსკელმა სტუდენტმა ნ. გრუზდევმა 337,5 კილოგრამი დააგროვა. II ადგილზეა 1975 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ბულგარელი ქ. ბელიკოვსკი — 320. III ადგილი ხვდა ჰ. გეორგის (გდრ) — 307,5 კგ.

უმაგალითო შემთხვევა

სპლიტის „ჰაიდუკმა“ წლეულს რომ იუგოსლავიის თასი მოიპოვა, თავისთავად ეს დიდი ამბავი არაა, მაგრამ სტატისტიკოსებმა ყურადღება მიაქციეს სხვა დეტალს: „ჰაიდუკი“ თასს ზედიზედ მეხუთედ ეუფლება, ეს კი უმაგალითო რამ გახლავთ ევროპის ფეხბურთის ისტორიაში.

გადამწყვეტი მატჩის შემდეგ

შვეიცარიის 1976-77 წლების ჩემპიონატი 29-29 ქულით დაასრულეს „ფკ ბაზელმა“ და „სერვეტმა“ (ჟენევა).

ჩემპიონის გამოსავლენად დაინიშნა გადამწყვეტი მატჩი ნეიტრალურ მინდორზე, ბერნის ცნობილ „ვანკდორფ-შტადიონზე“. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „ფკ ბაზელმა“ და შვეიცარიის ჩემპიონიც გახდა.

ნეცერი აღარ ითამაშებს

გამოჩენილმა ნახევარმცველმა, გფრ-ის ნაკრების ყოფილმა წევრმა ნეცერმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მიმდინარე სეზონი მისთვის უკანასკნელი იქნება.

ნეცერმა დასძინა, რომ ფეხბურთს თავს ანებებს ხშირი ტრავმების გამო.

თავს ანებებს...

გამოჩენილმა ჩეხოსლოვაკიელმა მეკარემ ვიქტორმა გადაწყვიტა თავი დაანებოს თამაშს. 35 წლის ვეტერანს 62 მატჩი აქვს ნათამაშევი ეროვნულ ნაკრებში, 1976 წელს ევროპის ჩემპიონის წოდებას ფლობდა, რამდენიმეჯერ ქვეყნის № 1 ფეხბურთელად იყო აღიარებული.

„ვაშაშის“ 100 გოლი

უნგრეთის 1976-77 წლების ჩემპიონატში გამარჯვებულმა „ვაშაშმა“ 100 გოლი გაიტანა (აქედან 36 — ვარადიმ). ამდენი ბურთი 34 მატჩში უდაოდ ჩინებულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რაც უნგრეთის ფეხბურთის მესვეურებს დიდ იმედებს აძლევს.

„შაბათის სპორტლოტოს“ შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, 28-ე ტირაჟებისა, რომლებიც 9 ივლისს მოსკოვში მოეწყო.

პირველი: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (3 ბარათი), ოთხისთვის — 250 (745), სამისთვის — 6 (28825).

მეორე: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთი, (3 ბარათი), ოთხისთვის — 249 (767), სამისთვის — 6 (28049).

მოგებული თანხა გაიცემა 20 ივლისიდან 20 აგვისტოს ჩათვლით.

„შაბათის სპორტლოტო“

მოსკოვი, 16 ივლისი. დღეს აქ გაიმართა „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, 29-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები:

პირველი: 2 (ბიატლონი), 10 (ფრენბურთი), 11 (ტანვარჯიში), 12 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 21 (აფროსნობა).

მეორე: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 13 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 18 (მძლეოსნობა), 24 (ხელბურთი), 33 (ფიგურული ციგურაობა).

რედაქტორი ა. ბასილაია.

თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველოს ველოსტადიონის დირექცია აცხადებს, რომ ველოტრეკის ბაზაზე (კამოს ქ. № 89) იქმნება **საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა გამაჯანსაღებელი ჯგუფები,** რომლებსაც გამოცდილი სპეციალისტები უხელმძღვანელებენ. ჯგუფებში ჩარიცხვის მსურველებს შეუძლიათ მიმართონ ველოტრეკის დირექციას 9-დან 19 საათამდე (ყოველდღე, გარდა კვირისა).

ჯგუფები მეცადინეობას დაიწყებენ 1 აგვისტოდან.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი. ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურულიმუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-59; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის 93-97-51; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07765